

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

2016 წლის 20 დეკემბრის სხდომის

ოქმი № 42

ქ. მცხეთა. 14. 00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე - გოჩა ლაბაური, კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები.

დღის წესრიგი:

საკითხი:1. „სოფ. გლდანის ყოფილი მიწებიდან მე-3 ტაქსების მუშა-მოსამსახურეებისათვის მეზღვრის მოსაწყობად გამოყოფილი მიწის ნაკვეთებისათვის სოფლის სტატუსისა და ამ დასახლებისათვის ისტორიული სახელწოდება „ნადიკვრების“ მინიჭების თაობაზე“ წინადადების მოწონების შესახებ.

/ მომხს. გოჩა ლაბაური /

/

მოისმინეს წარმოდგენილი საკითხი :

მომხსენებელმა კომისიას გააცნო მოქ. ნუგზარ კობრეიძის მიერ წარმოდგენილი წერილი (№ 403 30.08.16წ.) და საერთო კრების ოქმი „სოფ. გლდანის ყოფილი მიწებიდან მე-3 ტაქსების მუშა-მოსამსახურეებისათვის მეზღვრის მოსაწყობად გამოყოფილი მიწის ნაკვეთებისათვის სოფლის სტატუსისა და ამ დასახლებისათვის ისტორიული სახელიწოდება „ნადიკვრების“ მინიჭების თაობაზე“ წინადადების მოწონების შესახებ, თანახმად „ დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესების დამტკიცების შესახებ“